

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ოქმი # 10

ქ. ონი

23. 10. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 9 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ჩლაიძე, გივი მეტრეველი, გელა მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი.

**არ ესწრებოდნენ:** გოჩა მეტრეველი, ვანო ბალაშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი/

2. შპს „ონის კომუნალური სამსახურის“ და შპს „მოედანი 2009-ს“ რეორგანიზაციაზე (შერწყმა, გაერთიანება) თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს. მარიამ გობეჯიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

3. ინფორმაცია 2019 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს. სერგო ლობჯანიძე-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს: 1.** ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ს. ლობჯანიძის კითხვაზე-სავარაუდოდ, მომავალ წლის ბიუჯეტში ნაშთის სახით რა რაოდენობის თანხა შეიძლება გადავიდეს, თ. ბროლაშვილმა უპასუხა, რომ წლის ბოლომდე სავარაუდოდ, ყველა პროექტი დასრულდება და ათვისება მაქსიმალური იქნება.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება სპორტული დარბაზისთვის ინვენტარის შექმნა.

**გადაწყდა:** ინფორმაცია შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს: 2.** შპს „ონის კომუნალური სამსახურის“ და შპს „მოედანი 2009-ს“ რეორგანიზაციაზე (შერწყმა, გაერთიანება) თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს. მარიამ გობეჯიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი შპს „ონის კომუნალური სამსახურის“ და შპს „მოედანი 2009-ს“ რეორგანიზაციაზე (შერწყმა, გაერთიანება) თანხმობის მიცემის შესახებ და აღნიშნა, რომ აღნიშნული ორგანიზაციები ცალ-ცალკე ვერ იღებენ მაქსიმალურ მოგებას. კერძოდ: შპს „მოედანი 2009-ს“ 2018 წელს საერთოდ არ მიუღია მოგება, მისი ზარალი გასულ წელს შეადგენს 10806, 25 ლარს. 2019 წლის სამი კვარტლის მონაცემებით ორგანიზაცია კვლავ წაგებაზეა. რაც შეეხება შპს „ონის კომუნალური სამსახურს“, მისი მოგება 2018 წელს შეადგენდა 6040 ლარს, ხოლო მიმდინარე წლის სამი კვარტლის მონაცემებით ორგანიზაცია მოგებაზეა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ თავისი ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია ორგანიზაციების გაერთიანება, რითაც დაიზოგება ფინანსური რესურსი .

აზრი გამოთქვეს: შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ეს არის ორი უმნიშვნელოვანესი სფერო, რომელთა გაერთიანებით იქმნება საკმაოდ მსხვილი შპს, საჭიროა სწორი გათვლა, ხომ არ დადგება შემდეგში კვლავ გაყოფის საჭიროება, ასევე გაერთიანების შემთხვევაში ხომ არ მოხდება კადრების შემცირება. ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ საჭიროა არგუმენტირებული დასაბუთება, რატომ უნდა გაერთიანდეს აღნიშნული ორი შპს. რადგან ორი წლის წინ შპს

„მოედანი 2009-ს“ 40 000 ლ. ჰქონდა მოგება და ახლა ზარალზეა, იქნებ მენეჯმენტშია პრობლემა, ასევე, გამოდის, რომ შპს „ონის კომუნალურ სამსახურს“ შპს „მოედანი 2009“ უერთდება ზარალით.

მ. გობეჯიშვილის განმარტებით, შპს „მოედანი 2009“ -ს გაუმართავი ტექნიკა გაიყიდება და შპს „ონის კომუნალურ სამსახურს“ გადაეცემა გამართული ტექნიკით.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული მოგების შემდეგი წელი შპს „მოედანი 2009“-მ ზარალით დაასრულა.

გივი მეტრეველმა აღნიშნა, რომ შექმნილ სიტუაციაში, როცა შპს „მოედანი 2009“ მთლიანად ზარალზეა, მდგომარეობა ვერ შეცვალა მენეჯმენტის რამდენჯერმე ცვლილებამ, მიღებული გადაწყვეტილება შპს „ონის კომუნალური სამსახურის“ -თვის მისი მიერთების შესახებ, მართებულია.

### საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

**მოსმინეს: 3.** ინფორმაცია 2019 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს. სერგო ლობჯანიძე-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია 2019 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს წინაშე დააყენა წინადადება, სოფ. ღებში საკრებულოს გასვლითი სხდომის ჩატარების შესახებ. ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს, გაიმართოს საკრებულოს გასვლითი სხდომა სოფ. ღებში.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

### შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე